



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
**სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
 უნივერსიტეტი**



Legal Entity Public Law
SAMTSKHE –JAVAKHETI STATE UNIVERSITY
წარმომადგენლობითი საბჭო REPRESENTATIVE COUNCIL

ოქმი № 5

„19“ 07

2018 წ.

დადგენილება № 21

„სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ეთეულების ბიუჯეტების შედგენის წესში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 63-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 13 მაისის N52/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 10 დეკემბრის N44 დადგენილებით დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს რეგლამენტის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად:
 წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება წარმომადგენლობითი საბჭოს 2013 წლის 11 დეკემბრის #88 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთიანი ბიუჯეტის და ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების ბიუჯეტების შედგენის წესში“ და მე-8 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 8. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა

1. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამტკიცებულ ერთიანი ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკატორით გათვალისწინებულ მეორე თანრიგის (ორციფრიანი კოდით) მუხლობრივ განწერაში ცვლილების შეტანა ხდება წარმომადგენლობით საბჭოს მიერ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით;
2. სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამტკიცებულ ერთიანი ბიუჯეტის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკატორით გათვალისწინებულ მესამე და მეტი თანრიგის (სამციფრიანი და მეტი კოდით) მუხლობრივ განწერაში შესატანი ცვლილება, განახორციელოს ფინანსური დაგეგმარების და შესყიდვების სამსახურის უფროსმა ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან შეთანხმებით.“

2. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. დადგენილება განთავსდეს სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ- გვერდზე და გაეგზავნოს შესაბამის სამსახურს.

4. საფუძველი: სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის რ. თათეშვილის 04.06.2018წ. N8 18 00659901 მიმართვა.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ახალციხე, კ. მეზაღიშვილის ქ. N62.

წარმომადგენლობითი საბჭოს
სპიკერი, პროფესორი

ლ. ჩიბუკაძე

ლავრენტი ჩიბურდანიძე